თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ. №18ᵃ, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617 +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-14-62727-23
17 / 10 20 23

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

თქვენი მიმდინარე წლის 28 სექტემბრის №6/52795 (კომპანიაში რეგისტრირებული 3 ოქტომბრის №02-14-62727-23) წერილის პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, დანელიას ქუჩა №41-ის მიმდებარე მიწის ნაკვეთზე გაზსადენის ქსელზე შეზღუდვის შესახებ ინფორმაციის მოწოდებას გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე გადის შპს „თბილისი ენერჯის" მოქმედი მიწისზედა D=100 მმ-იანი საშუალო წნევის გაზსადენი (იხ. დანართი), რომელიც ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩისა და მიმდებარე ტერიტორიის ერთერთი ძირითადი მკვებავი წყაროა და უზრუნველყოფს მოსახლეობის უწყვეტ და უსაფრთხო გაზმომარაგებას. აღნიშნული მილის გაუქმება გამოიწვევს მოსახლეობის გაზით მომარაგების შეწყვეტას. გამომდინარე იქიდან, რომ მომიჯნავე ნაკვეთები კერძო საკუთრებაშია, გაზსადენის გადალაგება წითელი ხაზებიდან ფაქტიურად შეუძლებელია.

ამასთან, მიმდინარეობს აღნიშნული ტერიტორიის განაშენიანების პროცესი (მათ შორის პოლიციის ქალაქის მშენებლობა) შესაბამისად, არსებული საშუალო წნევის გაზსადენის ფუნქციონირება მნიშვნელოვანია სამომავლოდ მოსახლეობის გაზმომარაგებისთვის.

იმის გათვალისწინებით, რომ გაზსადენი განთავსებულია ციცაბო ფერდობზე, საჭიროა მისი ექსპლუატაციისთვის დიდი დერეფნის შენარჩუნება.

დანართი: სქემატური ნახაზი-1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

სსიპ „საჯარო სამართლის იურიდიული პირების ეროვნული სააგენტო"
შემოსავლის № 140969/01
18 10 23
1+1

IOS QR Android QR


1:500
D= 160 pe
D= 100
D= 100
D= 63 PE
D= 160 pe
პირობითი აღნიშვნები
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისზედა გაზსადენი
წარმოდგენილი ტერიტორია
თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY